



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
14 დეკემბერი 2020


ეკონომიკა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის მესამე კვარტალში 23.6%-ით შემცირდა და 302.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, რეინვესტიციამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 44.2% შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა შემდეგ სექტორებში: საფინანსო სექტორი (128.3 მლნ აშშ დოლარი, +20.4% წ/წ), ენერგეტიკა (37.1 მლნ აშშ დოლარი, -24.7% წ/წ), დამამუშავებელი მრეწველობა (36.6 მლნ აშშ დოლარი, -27.2% წ/წ), სამთომომპოვებითი მრეწველობა (31.0 მლნ აშშ დოლარი, +117.2% წ/წ) და უძრავი ქონება (20.6 მლნ აშშ დოლარი, -44.1% წ/წ). უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ: გაერთიანებული სამეფო (117.7 მლნ აშშ დოლარი), ნიდერლანდი (79.3 მლნ აშშ დოლარი), აშშ (24.2 მლნ აშშ დოლარი) და იაპონია (15.6 მლნ აშშ დოლარი). ამასთან, 2020 წლის 9 თვეში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 719 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24%-ით არის შემცირებული წინა წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

საერთაშორისო რეზერვები: საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად, 2020 წლის ნოემბერში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები წლიურად 12.8%-ით გაიზარდა და 3.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, რეზერვები წინა თვესთან შედარებით 0.7%-ით შემცირდა (-25.9 მლნ აშშ დოლარი). რეზერვების ცვლილება საერთაშორისო დონორების დახმარებების ჩამორიცხვებს და ნოემბერში გამართულ სავალუტო აუქციონებზე 173.8 მლნ აშშ დოლარის გაყიდვას უკავშირდება.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 9 დეკემბრის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 8%-ზე დატოვა. ამასთან, წლიურმა ინფლაციამ ნოემბერში 3.8% შეადგინა, რომელიც უცვლელია სექტემბრის შემდეგ. სეზონის არსებული პროგნოზით, წლიური ინფლაცია 2021 წლის პირველ ნახევარში მიზნობრივ 3%-იან დონესთან ახლოს იქნება, რაზეც გავლენა სუსტ ერობლივ მოთხოვნას ექნება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე, გაითვალისწინა პანდემიის ფონზე დამატებითი შეზღუდვებით გამოწვეული წარმოების ხარჯების ზრდა, რაც მიწოდების ფაქტორს წარმოადგენს. სეზონის არსებული შეფასებით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება შესაძლოა გახანგრძლივდეს, რაც ინფლაციის მოლოდინებსა და ეკონომიკური აქტივობის დინამიკაზე იქნება დამოკიდებული. ამასთან, ეკონომიკური მოვლენების განვითარებიდან გამომდინარე, კომიტეტი მომავალში არც საპროცენტო განაკვეთის ზრდის საჭიროებას გამორიცხავს. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2021 წლის 3 თებერვალს ჩატარდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, მლნ აშშ დოლარი




წყარო: საქსტატი

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.0%
მშპ ერთ სულზე (ppp)	13,596	14,584	15,634
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,696
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.5%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.1%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	40.4%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარტი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

STANDARD & POORS BB სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	Moody's INVESTORS SERVICE Ba2 სტაბილური დადასტურებული აგვისტო-2020	FitchRatings BB უარყოფითი დადასტურებული აგვისტო-2020
--	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 8 დეკემბერს 1-წლიანი 50 მლნ ლარის (15.2 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.4-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.033პპ-ით შემცირდა და 8.119% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2020 წლის 22 დეკემბერს, სადაც 5-წლიანი 80 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2020 წელი

ვალიანობა	გამოშვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამოშვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	350	0	180
1-წელი	660	0	680
2-წელი	840	0	1,390
5-წელი	880	80	2,088
10-წელი	150	0	1,237
სულ	2,880	80	5,575

წყარო: ფინანსთა სამინისტრო


შენიშვნა: * 2020 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სტბ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სტბ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 3.77%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 105.49 (-0.67% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციები (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 100.45 (+0.18% წინა კვირასთან შედარებით), 5.97%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.42 (-0.32% წინა კვირასთან შედარებით), 2.77%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 105.45 ფასად (+0.12% წინა კვირასთან შედარებით), 4.13%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 101.72 (+0.10% წინა კვირასთან შედარებით), 1.55%-იანი შემოსავლიანობით.


ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევროობლიგაციები

შემოსავლიანობა (%)



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევროობლიგაციები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	101.72	1.55	134.09
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	105.45	4.13	393.54
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB/-	101.42	2.77	256.52
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/B/Ba2	105.49	3.77	355.39
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/B-	105.11	9.21	912.19
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-B/B2	100.45	5.97	571.56
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/B1	108.64	7.96	770.73
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/B/Ba2	104.20	4.44	417.12
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/B-	102.61	9.68	963.42
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	B+/B1/-	102.10	7.21	680.03

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/B1/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.50	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.83	7.00	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/B1/-	99.98	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B1/-/-	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/B-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთი ევროპის 10-წლიანი სუვერენული ვერობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Baa2	101.72	1.55	134.09
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.85	1.61	141.98
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	104.96	4.48	427.42
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	111.08	0.92	62.47
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	109.98	1.18	95.48
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B2	100.86	2.64	243.22
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/B3	103.94	2.13	194.06

წყარო: Bloomberg




აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 11.84 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.11% წინა კვირასთან შედარებით და +7.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 157 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.68 – 12.24 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 58 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 5.22 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.78% წინა კვირასთან შედარებით და +11.06% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 245 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 5.12 – 5.50 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 60 ათასი აქცია შეადგინა.


თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 11.90 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), უცვლელი წინა კვირასთან შედარებით და -1.49% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 430 ათასს გადააჭარბა, GBP 11.44 – 12.20 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 174 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	11.84	582	13.8%	-23.3%	-27.1%	8.20x	4.82x	0.96x	0.81x
TBC	TBC	GBP	11.90	655	30.1%	-8.5%	-8.5%	8.12x	5.48x	0.94x	0.82x
Halyk Bank	HSBK	US\$	11.35	3,335	-0.4%	-15.3%	-15.0%	4.73x	4.30x	0.92x	0.86x
VTB Bank	VTBR	US\$	1.01	6,565	-0.1%	-27.3%	-30.8%	7.54x	3.50x	0.36x	0.34x
Akbank	AKBNK	TRY	6.31	32,812	8.8%	-17.5%	-22.2%	8.19x	6.19x	0.81x	0.71x
Garanti	GARAN	TRY	9.53	40,026	16.8%	-7.7%	-14.5%	8.56x	6.12x	0.91x	0.77x
Isbank	ISCTR	TRY	6.58	29,610	28.5%	8.8%	2.7%	6.80x	5.12x	0.66x	0.58x
PKO	PKO	PLN	28.85	36,063	23.2%	-13.8%	-16.3%	12.48x	11.87x	0.77x	0.74x
PEKAO	PEO	PLN	60.84	15,969	7.1%	-35.8%	-39.4%	12.43x	11.27x	0.61x	0.59x
Millennium	MIL	PLN	3.21	3,894	-0.9%	-41.0%	-45.1%	10.64x	9.86x	0.41x	0.41x
Mbank	MBK	PLN	179.30	7,591	-28.7%	-50.2%	-54.0%	20.94x	15.40x	0.43x	0.42x
BRD	BRD	RON	14.60	10,175	19.3%	-4.6%	-7.8%	12.42x	12.54x	1.10x	1.16x
Banca Transilvania	TLV	RON	2.23	11,631	17.4%	-2.5%	-5.5%	11.97x	10.57x	1.52x	1.47x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	0.0%	7.5%	7.5%	12.68x	11.43x	0.70x	0.66x
Komerční	KOMB	CZK	619.00	117,641	10.7%	-22.6%	-25.4%	14.20x	12.38x	1.00x	0.96x
საშუალო								10.66x	8.72x	0.81x	0.75x
მედიანა								10.64x	9.86x	0.81x	0.74x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესაძარი კომპანიები

								P/E		P/B	
ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე, ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.		2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	5.22	192	8.7%	-43.3%	-43.4%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.75	348	-4.9%	-5.2%	-4.5%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	10.52	21,465	17.3%	13.1%	10.3%	6.95x	6.00x	0.87x	0.74x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	32.50	489	10.9%	-16.1%	-17.6%	n/a	10.81x	1.07x	1.04x
Eurazeo	RF	EUR	54.05	4,257	19.7%	-12.5%	-11.4%	30.47x	8.32x	0.73x	0.69x
Carlyle Group	CG	USD	29.68	3,285	5.8%	-1.7%	-7.5%	5.13x	4.31x	4.67x	4.83x
საშუალო								14.19x	7.36x	1.84x	1.82x
მედიანა								6.95x	7.16x	0.97x	0.89x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომზადრ ან რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევს, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომზადრ ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: gt@gt.ge